ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

4 თებერვალი 2025 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. ლელა ადანაია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. ია ჯიშკარიანი
7. ნინო ბოკუჩავა
8. გიორგი გვასალია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
საკანონმდებლო მაცნეში აქტის ატვირთვის დროს დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში მითითებული იყო პირველი კატეგორიის 2 საშტატო ერთეული, რომლის ნაცვლად უნდა ეწეროს პირველი კატეგორიის 1 საშტატო ერთეული.
აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება N22. საკანონმდებლო მაცნეში აქტის ატვირთვის დროს დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №22 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე; განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი